საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-121

28/01/2021

ქ. თბილისი

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის გზის I მონაკვეთის (თბილისი-ფონიჭალას) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერს სამინისტროს მომართა სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2013 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის გზის I მონაკვეთის (თბილისი-ფონიჭალას) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №9 (13.03.2013) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2013 წლის №9 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის გზის I მონაკვეთის (თბილისი-ფონიჭალას) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 19 მარტის №ი-66 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2013 წლის №9 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის გზის I მონაკვეთის (თბილისი-ფონიჭალას) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №9; 13.03.2013);

2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის გზის I მონაკვეთის (თბილისი-ფონიჭალას) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 19 მარტის №ი-66 ბრძანება;

5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;

6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“;

7. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი